კიევის რეკომენდაციები
აღმოსავლეთ ევროპაში, სამხრეთ კავკასიაში და ცენტრალურ აზიაში სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ

– სასამართლოს ადმინისტრირება, მოსამართლეთა შერჩევისა და ანგარიშვალდებულების საკითხები –

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა
და ადამიანის უფლებათა ოფისი

მაქს პლანკის სახელობის მინერვას კვლევითი
ჯგუფი სასამართლოს დამოუკიდებლობის
საკითხებზე

კიევი, 23-25 ივნისი 2010წ.

სასამართლოს დამოუკიდებლობა სამართლიანი სასამართლოს უფლების, კანონის უზენაესობისა და დემოკრატიის აუცილებელი ელემენტია. აღმოსავლეთ ევროპის, სამხრეთ კავკასიის და ცენტრალური აზიის ქვეყნებში ამ პრინციპების შესაბამისად სასამართლოს დამოუკიდებლობის გაძლიერების მხარდასაჭერად, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისმა (ODIHR), მაქს პლანკის სახელობის შედარებითი საჯარო სამართლის და საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტთან (MPI) ერთად, მოაწყო და უმასპინძლა რეგიონალურ ექსპერტთა შეხვედრას სასამართლოს დამოუკიდებლობის საკითხებზე ქალაქ კიევში. შეხვედრას ესწრებოდა ორმოცამდე დამოუკიდებელი ექსპერტი, მათ შორის, ცნობილი სწავლულები და უფროსი პრაქტიკოსები ეუთოს 19 მონაწილე ქვეყნიდან, აგრეთვე ევროპის საბჭოდან და ევროსაბჭოს ვენეციის კომისიიდან.

სამართლებრივი სისტემების და სასამართლოს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული სხვადასხვა პრაქტიკის სიღრმისეული ანალიზის შედეგად ODIHR-მა და MPI-მ შეარჩია სამი თემა, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სასამართლო დამოუკიდებლობასთან მიმართებაში, კერძოდ: (1) სასამართლოს ადმინისტრირება, სადაც აქცენტი გაკეთდა მოსამართლეთა საბჭოებზე, მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოებსა და სასამართლოს თავმჯდომარეების როლზე; (2) მოსამართლეთა შერჩევა – კრიტერიუმები და პროცედურები; და (3) მოსამართლეთა ანგარიშვალდებულება და მოსამართლეთა დამოუკიდებლობა საქმეთა განხილვისას. შეხვედრა დასრულდა რეკომენდაციების კრებულის მიღებით, რომელიც არ არის ამომწურავი (თან ერთვის "კიევის რეკომენდაციები აღმოსავლეთ ევროპაში, სამხრეთ კავკასიაში და ცენტრალურ აზიაში სასამართლო დამოუკიდებლობის შესახებ"). ამ რეკომენდაციების მიზანია ზემოთაღნიშნული სამი ძირითადი მიმართულებით სასამართლოს დამოუკიდებლობის შემდგომი გაძლიერება რეგიონში.

ODIHR-ი მოუწოდებს მონაწილე სახელმწიფოებს, განიხილონ კიევის რეკომენდაციები, განსაზღვრონ სფეროები, სადაც მათთან არსებული პრაქტიკა უკვე შესაბამისობაშია რეკომენდაციებთან და შესაბამისი ინფორმაცია მიაწოდონ ODIHR-ს. შესაბამისად, ODIHR-ი ხელს შეუწყობს გამოცდილების გაზიარებას და ტექნიკურ დახმარებას გაუწევს იმ მონაწილე სახელმწიფოებს, რომლებიც გამოხატავენ საკუთარი სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის გაძლიერების ინტერესს, კიევის რეკომენდაციებში შესული ღონისძიებების გატარების გზით.

ნაწილი I – სასამართლოს ადმინისტრირება

1. სასამართლოების და სასამართლო ხელისუფლების ადმინისტრირების მიზანია, განამტკიცოს საქმეთა დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი განხილვა სამართლიანი სასამართლოს უფლებისა და კანონის უზენაესობის პრინციპების შესაბამისად. დაუშვებელია სასამართლოს ადმინისტრირება სასამართლო გადაწყვეტილების შინაარსზე ზეგავლენის მოსახდენად იქნას გამოყენებული. სასამართლო ადმინისტრირების პროცესი უნდა იყოს გამჭვირვალე.

მოსამართლეთა საბჭოები, საკვალიფიკაციო კომისიები და თვითმმართველობის ორგანოები

უფლებამოსილების განაწილება სასამართლო ადმინისტრაციაში

2. მოსამართლეთა საბჭოები წარმოადგენენ ორგანოებს, რომელთაც დაკისრებული აქვთ სასამართლოს ადმინისტრირების სპეციფიური მოვალეობები და გააჩნიათ დამოუკიდებელი უფლებამოსილებები სასამართლოს დამოუკიდებლობის გარანტირების მიზნით. იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული უფლებამოსილებების ზედმეტი კონცენტრირება სასამართლო ხელისუფლების ერთ ორგანოში და კორპორატიზმის განცდა, რეკომენდებულია, მოხდეს სხვადასხვა უფლებამოსილებების გამიჯვნა და მათი დანაწილება, როგორიცაა, მაგალითად, მოსამართლეთა შერჩევა (*იხ. პარაგრაფები 3-4, 8*), დაწინაურება და სწავლება, დისციპლინა (*იხ. პარაგრაფები 5, 9, 14, 25-26*), პროფესიული შეფასება (*იხ. პარაგრაფები 27-28*) და ბიუჯეტი (*იხ. პარაგრაფი 6*). სასურველია, შეიქმნას რამდენიმე დამოუკიდებელი ორგანო, რომლებიც ცალ-ცალკე იქნებიან კომპეტენტური სასამართლოს ადმინისტრირების ცალკეულ სფეროებში ისე, რომ არ ექვემდებარებოდნენ ერთი რომელიმე დაწესებულების ან ორგანოს კონტროლს. ამ ორგანოების შემადგენლობა უნდა იყოს თითოეული მათგანის ფუნქციების შესაბამისი. მათი საქმიანობა უნდა რეგულირდებოდეს საკანონმდებლო დონეზე და არა აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ გამოცემული აქტის შესაბამისად.

მოსამართლეთა შერჩევა

3. თუ არ არსებობს ამ ფუნქციით აღჭურვილი სხვა დამოუკიდებელი ორგანო, უნდა შეიქმნას ცალკე ექსპერტთა კომისია, რომელიც მოსამართლეთა შერჩევის მიზნით ჩაატარებს წერილობით და ზეპირ გამოცდებს (*იხ. ავრეთვე პარაგრაფი 8*). ამ შემთხვევაში, მოსამართლეთა საბჭოს უფლებამოსილება უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ შესაბამისი პროცედურების დაცვის შემოწმებით და კომისიის მიერ შერჩეული კანდიდატების დანიშვნით ან დანიშვნაზე უფლებამოსილი ორგანოსთვის კანდიდატურების წარდგენით (*სამსახურში მიღების პროცესთან დაკავშირებით იხ. პარაგრაფები 21-23*).

4. ალტერნატივის სახით, მოსამართლეთა საბჭოები ან საკვალიფიკაციო კომისიები ან საკვალიფიკაციო კოლეგიები შეიძლება პირდაპირ აღიჭურვონ მოსამართლეთა დანიშვნის და სწავლების უფლებამოსილებით. ამ შემთხვევაში აუცილებელია, რომ ეს ორგანოები არ ექვემდებარებოდნენ აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლს და მათი საქმიანობა იყოს ადგილობრივი მთავრობისგან დამოუკიდებელი (*შემადგენლობასთან დაკავშირებით იხ. ავრეთვე პარაგრაფი 8*).

დისციპლინა

5. კორპორატიზმის განცდის თავიდან აცილების და სამართლიანი დისციპლინარული წარმოების უზრუნველყოფის მიზნით, მოსამართლეთა საბჭოები არ უნდა იყონ ერთდროულად უფლებამოსილნი, რომ ა) მიიღონ საჩივრები და აწარმოონ დისციპლინარული გამოძიება და ამავდროულად ბ) განიხილონ დისციპლინარული საქმეები და გამოიტანონ გადაწყვეტილება დისციპლინარული ღონისძიებების გამოყენების თაობაზე. დისციპლინარულ საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილებები უნდა ექვემდებარებოდეს კომპეტენტური სასამართლოს სააპელაციო ზედამხედველობას (*იხ. აგრეთვე პარაგრაფები 9, 14, 25-26*).

ბიუჯეტთან დაკავშირებული რეკომენდაცია

6. იმის გათვალისწინებით, რომ მთავრობას აქვს სასამართლო ხელისუფლების ბიუჯეტის წარდგენის უფლებამოსილება, ხოლო პარლამენტს – ბიუჯეტის მიღების უფლებამოსილება, სასურველია, სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენელ ორგანოს, მაგალითად, მოსამართლეთა საბჭოს, ჰქონდეს უფლება, მთავრობას წარუდგინოს ინფორმაცია მართლმსაჯულების სისტემის საბიუჯეტო საჭიროებების შესახებ, ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების ხელშეწყობის მიზნით. ამ ორგანოს ასევე უნდა მოუსმინოს პარლამენტმა ბიუჯეტის საკითხის განხილვისას. მოსამართლეთა საბჭოებმა შეიძლება თავისი როლი შეასრულონ ასევე სასამართლო ხელისუფლების შიგნით ბიუჯეტის განაწილებაში.

მოსამართლეთა საბჭოების შემადგენლობა

7. იქ, სადაც არსებობს მოსამართლეთა საბჭო, მისი მოსამართლე წევრები უნდა აირჩნენ ასევე მოსამართლის თანამდებობის მქონე პირების მიერ და უნდა წარმოადგენდნენ ზოგადად სასამართლო ხელისუფლების ინტერესებს, მათ შორის, პირველი ინსტანციის მოსამართლეებს. სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეები არ უნდა შეადგენდნენ საბჭოს უმრავლესობას. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს თავმჯდომარე საბჭოში ინიშნება, იგი უნდა გადადგეს სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობიდან. გარდა მოსამართლეების მიერ არჩეული, საბჭოს უმრავლესობის შემადგენელი მოსამართლე წევრებისა, მოსამართლეთა საბჭოში უნდა შედიოდნენ სამართლის პროფესორები და, სასურველია, ადვოკატთა ასოციაციის წევრი, უფრო მეტი ჩართულობისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად. პროკურორები, თუ ისინი არ ეკუთვნიან სასამართლო ხელისუფლების კორპუსს, საბჭოს შემადგენლობაში არ უნდა შედიოდნენ. საბჭოში მონაწილეობა უნდა აეკრძალოს სამართალდამცავი ორგანოების სხვა წარმომადგენლებსაც. არც ქვეყნის პრეზიდენტი და არც იუსტიციის მინისტრი არ უნდა თავმჯდომარეობდეს საბჭოს. მოსამართლეთა საბჭოს თავმჯდომარე უნდა აირჩეს საბჭოს წევრთა ხმების უმრავლესობით. მოსამართლეთა საბჭოს მუშაობაზე დომინირებულ გავლენას არ უნდა ახდენდნენ აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლები.

მოსამართლეთა შერჩევაზე პასუხისმგებელი ორგანოების წევრობა

8. მოსამართლეთა შერჩევაზე პასუხისმგებელი სპეციალური კომისიის წევრებს (*იხ. პარაგრაფი 3*) უნდა ნიშნავდეს მოსამართლეთა საბჭო იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებისგან, მათ შორის, მოსამართლეთა რიგებიდან. თუ მოსამართლეთა დანიშვნაზე პასუხისმგებელია მოსამართლეთა საბჭო, საკვალიფიკაციო კომისია ან საკვალიფიკაციო კოლეგია (*იხ. პარაგრაფი 4*), მისი წევრები უნდა დაინიშნონ განსაზღვრული

ვადით. მოსამართლეთა შერჩევაზე პასუხისმგებელ ორგანოში, მოსამართლეთა უმრავლესობის გარდა, სასურველია შედიოდნენ სხვა პროფესიული ჯგუფებიც (სამართლის პროფესორები, ადვოკატები). მათი წევრად არჩევა უნდა მოხდეს შესაბამისი სამართლებრივი კულტურის და გამოცდილების საფუძველზე. ამ ორგანოს შემადგენლობამ უნდა გამორიცხოს პოლიტიკური მოსაზრებების უპირატესობა მოსამართლეობის კანდიდატის კვალიფიკაციასთან შედარებით (*იხ. პარაგრაფი 21*).

დისციპლინაზე გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების წევრობა

9. დისციპლინარული საქმეების განხილვაზე და დისციპლინარული ღონისძიების შეფარდებაზე უფლებამოსილი ორგანოები (*იხ. პარაგრაფი 5ბ)* უნდა შედგებოდეს არა მხოლოდ მოსამართლეებისგან, არამედ სხვა პროფესიის წარმომადგენლებისგან. უფლებამოსილების განმავლობაში მოსამართლე წევრებმა არ უნდა შეასრულონ მოსამართლის ან სასამართლო ხელისუფლებასთან დაკავშირებული სხვა ფუნქციები, როგორიცაა სასამართლოს ადმინისტრირება, საბიუჯეტო ან მოსამართლეთა შერჩევის პროცესში მონაწილეობა. მოსამართლეთა დისციპლინის საკითხებზე გადაწყვეტილების მიმღები ორგანოები არ უნდა კონტროლდებოდნენ აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ; ასევე უნდა გამოირიცხოს რაიმე პოლიტიკური ზეგავლენა მოსამართლეთა დისციპლინასთან დაკავშირებით. აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ მოსამართლეთა საბჭოებზე ან მოსამართლეთა დისციპლინაზე გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებზე ყოველგვარი კონტროლი თავიდან უნდა იქნას აცილებული (*იხ. აგრეთვე პარაგრაფები 5, 25-26*).

სასამართლოს ადმინისტრირების გამჭვირვალობა

10. მოსამართლეთა საბჭო რეგულარულად უნდა იკრიბებოდეს მასზე დაკისრებული ფუნქციების შესასრულებლად. მოსამართლეთა საბჭოს განხილვების საჯაროობა და მისი გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობა გარანტირებული უნდა იყოს როგორც კანონით, ასევე პრაქტიკულად.

<u>სასამართლოს თავმჯდომარეების როლი</u>

11. სასამართლოს თავმჯდომარეების როლი მკაცრად უნდა შეიზღუდოს შემდეგი თვალსაზრისით: მათ უნდა შეასრულონ მხოლოდ ის სამოსამართლო ფუნქციები, რომლებიც ეკვივალენტურია სასამართლოს სხვა წევრებზე დაკისრებული ფუნქციებისა. სასამართლოს თავმჯდომარეები არ უნდა ჩაერიონ სხვა მოსამართლეების მიერ საქმეთა განხილვაში და არ უნდა იღებდნენ მონაწილეობას მოსამართლეების შერჩევაში. მათ არ უნდა ჰქონდეთ ანაზღაურებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლება (*პრემიებთან და პრივილეგიებთან დაკავშირებით იხ. პარაგრაფი 13*). მათ შეიძლება ჰქონდეთ წარმომადგენლობითი და ადმინისტრაციული ფუნქციები, მათ შორის, კონტროლი არასამოსამართლო პერსონალზე. ადმინისტრაციული ფუნქციების შესასრულებლად აუცილებელია მართვის უნარების სწავლება. სასამართლოს თავმჯდომარეებმა ბოროტად არ უნდა გამოიყენონ მათი უფლებამოსილება სასამართლოს რესურსების განკარგვის საქმეში მოსამართლეებზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით.

საქმეთა განაწილება

12. სასამართლოს თავმჯდომარის ხელში არ უნდა იყოს თავმოყრილი ისეთი ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილება, რომლებმაც შეიძლება არსებითი გავლენა იქონიოს მოსამართლეების მიერ საქმის განხილვაზე. ამის ერთ-ერთი მაგალითია საქმეთა განაწილება, რომელიც უნდა მოხდეს შემთხვევითი პრინციპით ან წინასწარგანსაზღვრული, ნათელი და ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე, რომლებიც უნდა დაადგინოს სასამართლოს მოსამართლეთა კოლეგიამ. მიღების შემდეგ, საქმეთა განაწილების წესში ჩარევა დაუშვებელია.

ინდივიდუალური პრემიები და პრივილეგიები

13. გრძელვადიან პერსპექტივაში, პრემიები და პრივილეგიები უნდა გაუქმდეს, ხოლო ხელფასები უნდა გაიზარდოს იმ დონემდე, რაც დააკმაყოფილებს მოსამართლეების საჭიროებებს ცხოვრების სათანადო დონის თვალსაზრისით და ადეკვატურად ასახავს მათი პროფესიის მნიშვნელობას. თუ ძალაშია პრემიების და პრივილეგიების სისტემა, მათი მინიჭება უნდა მოხდეს წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე და გამჭვირვალე პროცედურებით. სასამართლოს თავმჯდომარეს არ უნდა ჰქონდეს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლება პრემიებთან ან პრივილეგიებთან დაკავშირებით.

შეზღუდული უფლებამოსილება მოსამართლეთა დისციპლინარული დევნის საკითხში

14. სასამართლოს თავმჯდომარემ შეიძლება საჩივრით მიმართოს ორგანოს, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს საჩივრები და აწარმოოს დისციპლინარული დევნა (*იხ. პარაგრაფი 5ა*). იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნას საჩივრის დამოუკიდებელი და ობიექტური განხილვა, სასამართლოს თავმჯდომარეს არ უნდა ჰქონდეს უფლება, მოახდინოს ინიცირება ან თავად შეუფარდოს დისციპლინარული ღონისძიება.

სამსახურებრივი ვადის შეზღუდვა

15. სასამართლოს თავმჯდომარე უნდა დაინიშნოს განსაზღვრული ვადით და ამ თანამდებობის გაგრძელების შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს მხოლოდ ერთხელ. თუ დანიშვნას ახორციელებს აღმასრულებელი ხელისუფლება, ვადა უნდა იყოს მოკლე, ხოლო მისი გაგრძელება არ უნდა შეიძლებოდეს.

სასამართლოს თავმჯდომარეების გამჭვირვალე და დამოუკიდებელი შერჩევა

16. სასამართლოს თავმჯდომარეების არჩევა უნდა მოხდეს გამჭვირვალედ. სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობის ვაკანსია უნდა გამოქვეყნდეს. აუცილებელი სტაჟის / გამოცდილების მქონე ყველა მოსამართლეს უნდა ჰქონდეს ვაკანსიაზე განცხადების შეტანის შესაძლებლობა. მოსამართლეთა შერჩევაზე პასუხისმგებელმა ორგანომ შეიძლება ჩაატაროს კანდიდატებთან გასაუბრება. სასურველია, კონკრეტული სასამართლოს მოსამართლეებმა თვითონ აირჩიონ სასამართლოს თავმჯდომარე. თუ დანიშვნას ახორციელებს აღმასრულებელი ხელისუფლება, ისეთ საკონსულტაციო ორგანოს, როგორიცაა მოსამართლეთა საბჭო ან საკვალიფიკაციო კომისია (*იხ. პარაგრაფი 4*), ადგილობრივი სასამართლოს შემადგენლობის მოსაზრებების გათვალისწინებით, უნდა ჰქონდეს კანდიდატის წარდგენის უფლება, ხოლო

აღმასრულებელ ორგანოს ამ წარდგინებაზე უარის თქმა უნდა შეეძლოს მხოლოდ მოტივირებული გადაწყვეტილებით. ამ შემთხვევაში, საკონსულტაციო ორგანოს უფლება უნდა ჰქონდეს, წარუდგინოს სხვა კანდიდატი. გარდა ამისა, აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან ზედმეტი გავლენისგან თავდაცვის მიზნითი, საკონსულტაციო ორგანოს უფლება უნდა ჰქონდეს, აღმასრულებელი ხელისუფლების ვეტო დაძლიოს ხმათა კვალიფიციური უმრავლესობით.

<u>ნაწილი II – მოსამართლეთა შერჩევა და სწავლება</u>

მოსამართლის პროფესიაზე ხელმისაწვდომობის გზების დივერსიფიკაცია

17. მოსამართლის პროფესია ხელმისაწვდომი უნდა იყოს არა მხოლოდ ახალგაზრდა იურისტებისთვის, რომელთაც საამისოდ სპეციალური მომზადება აქვთ გავლილი, არამედ იურიდიულ სფეროში მომუშავე მნიშვნელოვანი გამოცდილების მქონე იურისტებისთვის (ანუ, შრომითი ცხოვრების შუა ეტაპზე სასამართლო სისტემაში შესვლის გზით). კანდიდატის კვალიფიციურობა მოსამართლის თანამდებობის დასაკავებლად მისი გამოცდილებიდან გამომდინარე, გულდასმით უნდა შეფასდეს.

სამართლებრივი განათლების გაუმჯობესება

18. მოსამართლის პროფესიაზე ხელი უნდა მიუწვდებოდეთ მხოლოდ უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე კანდიდატებს. საუნივერსიტეტო სწავლების პროგრამაში მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ანალიტიკურ უნარებში წვრთნას. პროგრამაში უნდა ჩაერთოს ისეთი ელემენტები, როგორიცაა კაზუსების განხილვა, პრაქტიკული გამოცდილების მიღება, სამართლის კლინიკები და იმიტირებული სასამართლო პროცესები. გარანტირებული უნდა იყოს ერთი და იგივე დონის განათლების მიღება სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტებში, დისტანციური სწავლების პროგრამების ჩათვლით. საუნივერსიტეტო სწავლების პროგრამების გარე შეფასებამ შეიძლება დადებითად შეუწყოს ხელი მათ დახვეწას.

მოსამართლეთა სპეციალური სწავლების გაუმჯობესება

19. თუ მოსამართლეთა შერჩევის პროცედურები ითვალისწინებს სამოსამართლო სკოლას, იგი დამოუკიდებელი უნდა იყოს აღმასრულებელი ხელისუფლებისგან. სასწავლო პროგრამები ორიენტირებული უნდა იყოს იმაზე, რაც აუცილებელია სამოსამართლო სამსახურისთვის და ავსებდეს საუნივერსიტეტო განათლებას. სასწავლო პროგრამებში უნდა შედიოდეს ეთიკის საკითხები, კომუნიკაციის უნარები, დავების მოგვარების უნარი, მართვის უნარი და იურიდიული დოკუმენტების შედგენის უნარები. თუ არსებობს მოსამართლეთა საბჭო, მან შეიძლება შეიმუშავოს რეკომენდაციები მოსამართლეთა იურიდიული სწავლების შესახებ. აქ იგულისხმება შესაბამისი უნარების განსაზღვრა-გაწერა და რჩევები მოსამართლეთა განგრძობადი განათლების შესახებ.

20. მე-19 პარაგრაფში აღნიშნული სპეციალური სწავლება ხელმისაწვდომი უნდა იყოს აგრეთვე სასამართლო სისტემაში შემავალი იურიდიული პროფესიის სხვა წარმომადგენლებისთვისაც.

სამსახურში მიღების პროცესი

21. მოსამართლეთა შერჩევის პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, კანონი უნდა განსაზღვრავდეს მოსამართლეთა შერჩევის პროცედურას და კრიტერიუმებს. განცხადება ვაკანტური თანამდებობის შესახებ, აგრეთვე სამსახურის ვადები და პირობები, საჯაროდ უნდა გამოქვეყნდეს და ფართოდ უნდა გავრცელდეს. ვაკანტურ თანამდებობაზე პრეტენდენტი კანდიდატების სია (ან, როგორც მინიმუმ, მოკლე სია) უნდა იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი. შერჩევაზე პასუხისმგებელი ორგანო უნდა იყოს დამოუკიდებელი, წარმომადგენლობითი ხასიათის და ანგარიშვალდებული საზოგადოების წინაშე (*იხ. პარაგრაფები 3-4*). მან გასაუბრება უნდა ჩაატაროს, როგორც მინიმუმ, იმ კანდიდატებთან, რომლებმაც მიაღწიეს საბოლოო ეტაპს, იმ პირობით, რომ გასაუბრების საგანიც და მისი ხვედრითი წონა შერჩევის პროცესში უნდა იყოს წინასწარ განსაზღვრული.

22. ბიოგრაფიული ცნობების შემოწმების შემთხვევაში, შემოწმება უნდა ჩატარდეს განსაკუთრებული სიფრთხილით და კანონის უზენაესობის პრინციპების მკაცრი დაცვით. შერჩევაზე გადაწყვეტილების მიმღებმა ორგანომ შეიძლება მოითხოვოს სტანდარტული შემოწმება ნასამართლობასთან დაკავშირებით, აგრეთვე სხვა ცნობები პოლიციიდან, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს განმცხადებლის დისკვალიფიკაცია. შემოწმების შედეგები უნდა წარედგინოს განმცხადებელს, რომელსაც უფლება უნდა ჰქონდეს, გაასაჩივროს ისინი სასამართლოში. დაუშვებელია წარსულთან დაკავშირებით ყოველგვარი სხვა ცნობების შეგროვება უშიშროების ნებისმიერი სამსახურის მიერ. გადაწყვეტილება კანდიდატზე უარის თქმის შესახებ, რომელიც ეფუძნება შემოწმების შედეგებს, უნდა იყოს მოტივირებული.

23. თუ მოსამართლის საბოლოო დანიშვნას ახორციელებს ქვეყნის პრეზიდენტი, დანიშვნის დისკრეცია უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ შერჩევაზე გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს (მაგალითად, მოსამართლეთა საბჭო, საკვალიფიკაციო კომისია ან ექსპერტთა კომისია; *იხ. პარაგრაფები 3-4*) მიერ წარდგენილი კანდიდატებით. ასეთი კანდიდატის დანიშვნაზე უარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ პროცედურულ საფუძვლებს და აუცილებლად უნდა იყოს მოტივირებული. ამ შემთხვევაში, შერჩევაზე გადაწყვეტილების მიმღებმა ორგანომ ხელახლა უნდა განიხილოს თავისი გადაწყვეტილება. დასაშვებია, ასევე, რომ შერჩევაზე გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს ჰქონდეს პრეზიდენტის ვეტოს დაძლევის უფლებამოსილება ხმათა კვალიფიციური უმრავლესობით. ყველა ეს გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას კანონით განსაზღვრულ რაც შეიძლება მოკლე ვადებში.

უმცირესობების წარმომადგენლობა სასამართლო სისტემაში

24. ზოგადად, სასურველია, რომ მოსამართლეთა კორპუსის შემადგენლობა ასახავდეს მთლიანად მოსახლეობის შემადგენლობას. სასამართლო სისტემაში უმცირესობათა წარმომადგენლობის გაზრდის მიზნით, უნდა მოხდეს ნაკლებად წარმოდგენილი ჯგუფების წახალისება, რომ მათ მოიპოვონ ის აუცილებელი კვალიფიკაცია, რაც საჭიროა მოსამართლედ დანიშვნისთვის. დაუშვებელია ვინმეს გამოტოვება იმ მიზეზით, რომ ის არის რომელიმე უმცირესობის ჯგუფის წევრი.

ნაწილი III – მოსამართლეთა ანგარიშვალდებულება და მოსამართლეთა დამოუკიდებლობა საქმეთა განხილვისას

დისციპლინარული წარმოება

25. მოსამართლეთა წინააღმდეგ დისციპლინარული წარმოება უნდა შეეხებოდეს პროფესიული გადაცდომის ისეთ სავარაუდო შემთხვევებს, რომლებიც სერიოზული და არასაპატიო ხასიათისაა ან სახელს უტეხს მართლმსაჯულების სისტემას. მოსამართლეთა დისციპლინარული პასუხისმგებლობა არ შეიძლება შეეხოს მოსამართლის მიერ გამოტანილ განჩინებებს ან გადაწყვეტილებებს, მათ შორის, როდესაც საქმე ეხება იურიდიული ნორმების განსხვავებულ განმარტებას სხვადასხვა სასამართლოს მიერ; აგრეთვე, მოსამართლის შეცდომას ან სასამართლოების კრიტიკას.

დისციპლინარულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიმღები დამოუკიდებელი ორგანო

26. უნდა არსებობდეს სპეციალური დამოუკიდებელი ორგანო (სასამართლო, კომისია ან საბჭო), რომელიც განიხილავს მოსამართლეთა დისციპლინის საკითხებს (*იხ. პარაგრაფი 9*). მოსამართლეთა დისციპლინის საკითხებზე გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს არ უნდა ჰქონდეს იმავდროულად საქმის აღძვრის უფლება, ხოლო მისი წევრები არ უნდა იყვნენ პირები, რომელთაც აქვთ საქმის აღძვრის უფლება. ამ ორგანომ ბრალდებული მოსამართლე უნდა უზრუნველყოს პროცესუალური გარანტიებით, მათ შორის, თავის დაცვის უფლებით და კომპეტენტურ სასამართლოში გასაჩივრების უფლებით. გამჭვირვალობა უნდა იყოს მოსამართლეთა დისციპლინარული სხდომების წესი. ასეთი სხდომები უნდა იყოს ღია, თუ თავად ის მოსამართლე, რომელსაც ბრალი ედება, არ მოითხოვს მის დახურულ ვითარებაში ჩატარებას. ამ შემთხვევაში, სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, დასაბუთებულია თუ არა ეს მოთხოვნა. მოსამართლის დისციპლინასთან დაკავშირებით გამოტანილი გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული. საბოლოო გადაწყვეტილება დისციპლინარული ღონისძიებების შესახებ უნდა გამოქვეყნდეს.

მოსამართლეთა პროფესიული შეფასება

27. თუ ადგილი აქვს მოსამართლეთა პროფესიული შეფასებას, ასეთი შეფასება არ უნდა იქნას გამოყენებული საქმეთა დამოუკიდებლად განხილვის საზიანოდ. მოსამართლეთა შრომითი მოსწრების შეფასება უნდა იყოს უპირატესად რაოდენობრივი და ორიენტირებული იყოს მათ უნარებზე, მათ შორის პროფესიულ კომპეტენტურობაზე (კანონმდებლობის ცოდნა, სხდომების ჩატარების უნარი, მოტივირებული გადაწყვეტილებების დაწერის უნარი), პიროვნულ უნარ-ჩვევებზე (სამუშაო დატვირთვასთან შეგუების უნარი, გადაწყვეტილების მიღების უნდარი, ღიაობა ახალი ტექნოლოგიებისადმი), სოციალურ უნარ-ჩვევებზე (შუამავლობის უნარი, პროცესის მხარეთა პატივისცემის უნარი) და – ადმინისტრაციულ თანამდებობაზე შესაძლო დაწინაურების მიზნებისთვის – ხელმძღვანელობის უნარი. აღნიშნული უნარების დახვეწას ხელი უნდა შეეწყოს მოსამართლეთა სწავლების პროგრამებში და სამუშაოზეც.

28. არც ერთ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს მოსამართლის შეფასება მის მიერ გამოტანილი განჩინებების ან გადაწყვეტილებების შინაარსის მიხედვით (იქნება ეს პირდაპირ თუ გაუქმებული ან შეცვლილი გადაწყვეტილებების რაოდენობის გამოანგარიშების გზით). მოსამართლის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება არ შეიძლება გახდეს მისი დასჯის

საფუძველი. სასამართლოს მუშაობის ეფექტურობის ამსახველი სტატისტიკური მონაცემები გამოყენებული უნდა იქნას მხოლოდ ადმინისტრაციული მიზნით და წარმოადგენდეს მხოლოდ ერთ-ერთ ფაქტორს მოსამართლეთა შეფასებისას. მოსამართლის შეფასება შეიძლება გამოყენებული იქნეს მოსამართლის შრომითი საქმიანობის იმ ასპექტების გამოსავლენად, რომელთა გაუმჯობესებაც მას შეიძლება სურდეს და, ასევე მისი შესაძლო დაწინაურების მიზნით. პერიოდული გამოცდების ჩატარება მოსამართლეებისთვის (ატესტაცია), რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს მათი სამსახურიდან გათავისუფლება ან სხვა სანქციები – არ არის მიზანშეწონილი უვადოდ დანიშნული მოსამართლეებისთვის.

29. პროფესიული შეფასების კრიტერიუმები უნდა იყოს მკაფიოდ გაწერილი, გამჭვირვალე და ერთგვაროვანი. ძირითად კრიტერიუმებს უნდა ადგენდეს კანონი. დეტალური კრიტერიუმები, რომლებიც პერიოდული შეფასებებისას გამოიყენება, უნდა დადგინდეს კანონქვემდებარე აქტით, რომელიც ასევე უნდა ადგენდეს შეფასების ჩატერების ვადებსა და მექანიზმებს.

დამოუკიდებელი შეფასებები

30. მოსამართლეთა საბჭო შეიძლება ასრულებდეს როლს კრიტერიუმების და პროცედურების განსაზღვრაში, მაგრამ პროფესიული შეფასება უნდა ჩატარდეს ადგილობრივ დონეზე. შეფასება უნდა განახორციელონ უმთავრესად სხვა მოსამართლეებმა. სასამართლოს თავმჯდომარეებს არ უნდა ჰქონდეთ მოსამართლეთა შეფასების ექსკლუზიური უფლებამოსილება. მათ როლს უნდა ავსებდეს მოსამართლეთა ჯგუფი იმავე ან სხვა სასამართლოებიდან. ამ ჯგუფმა მხედველობაში უნდა მიიღოს გარე პირების მოსაზრებებიც, რომელთაც რეგულარულად უწევთ კონკრეტულ მოსამართლესთან ურთიერთობა (მაგალითად, ადვოკატების). აგრეთვე სამართლის პროფესორების მოსაზრებები, როდესაც ფასდება მოსამართლის საქმისადმი დამოკიდებულება, მის მიერ პროცესის მხარეთა პატივისცემა და პროცესუალური წესების დაცვა.

31. შეფასება უნდა მოიცავდეს მოსამართლის მიერ დაწერილი გადაწყვეტილებების შეფასებას და მის მიერ სხდომის ჩატარებაზე დაკვირვებას. შეფასება უნდა იყოს გამჭვირვალე. მოსამართლეებს უნდა მოუსმინონ და აცნობონ შეფასების შედეგები. მათ უნდა ჰქონდეთ შედეგების გადასინჯვის უფლება გასაჩივრების გზით.

პროფესიული ანგარიშვალდებულება გამჭვირვალობის გზით

32. როგორც წესი, სასამართლოს სხდომები ღია უნდა იყოს. სასამართლოს დარბაზში მოსამართლის ქცევის დამადასტურებელი მტკიცებულების შესაქმნელად და, ასევე, სხდომის სწორი ჩანაწერის უზრუნველსაყოფად, სხდომების მიმდინარეობა ჩაწერილი უნდა იქნას ელექტრონული მოწყობილობების გამოყენებით, რომლებიც იძლევა სრულად აღწარმოების შესაძლებლობას. წერილობითი ოქმები და სტენოგრაფიული ჩანაწერი საკმარისი არ არის. მოსამართლეთა პროფესიული და საზოგადოებრივი ანგარიშვალდებულების გაზრდის მიზნით, გადაწყვეტილებები უნდა გამოქვეყნდეს მონაცემთა ბაზებში და ვებგვერდებზე იმგვარად, რომ ისინი ნამდვილად ხელმისაწვდომი და უფასო იყოს. გადაწყვეტილებები დალაგებული უნდა იყოს საგნის, განხილული სამართლებრივი საკითხების და გადაწყვეტილების გამომტანი მოსამართლეების სახელების მიხედვით. აგრეთვე უნდა გამოქვეყნდეს დისციპლინაზე გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების გადაწყვეტილებები (*იხ. აგრეთვე პარაგრაფი 26*).

33. სასამართლოებისადმი საზოგადოების ნდობის ხელშეწყობის მიზნით, ხელისუფლებამ ხელი უნდა შეუწყოს ჟურნალისტების დაშვებას სასამართლოებში და შექმნას პრეს-მდივნის ან მედიასთან ურთიერთობის თანამშრომლის თანამდებობები. ჟურნალისტებისთვის, რომლებიც სასამართლოს სხდომებს ესწრებიან, არ უნდა არსებობდეს დაბრკოლებები ან ბარიერები.

დამოუკიდებლობა სისხლის სამართლის საქმეებში

34. აღმოსავლეთ ევროპის, სამხრეთ კავკასიის და ცენტრალური აზიის ქვეყნებში მართლმსაჯულების სისტემის არსებული მიდრეკილება გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისკენ გამოსწორებას საჭიროებს. გამამართლებელი განაჩენის გამოტანა ჯერ კიდევ ცუდ ნიშნად ან მარცხად მიიჩნევა. იმისათვის, რომ შემცირდეს მოსამართლეებზე მიმართული ზეწოლა, რომ მათ თავი აარიდონ გამამართლებელი განაჩენის გამოტანას, დაჟინებით რეკომენდებულია, რომ შეიცვალოს მათი პროფესიული შეფასების სისტემა (და, საჭიროების შემთხვევაში, პროკურორების და გამომძიებლების შეფასების სისტემაც). გამამართლებელი განაჩენების რაოდენობა არასოდეს არ უნდა იქნას გამოყენებული მოსამართლეთა შეფასების ინდიკატორად. მოსამართლეებს უნდა ჰქონდეთ ნამდვილი დისკრეცია წინასწარი პატიმრობის შეფარდებაზე შუამდგომლობის განხილვისას. გამამართლებელი განაჩენის გადასინჯვა აპელაციის გზით დასაშვები უნდა იყოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში.

შიდა დამოუკიდებლობა

35. ზემდგომი სასამართლოების მიერ მითითებების, განმარტებების ან რეზოლუციების გამოცემა არ უნდა იყოს მისაღები პრაქტიკა, მაგრამ თუ ეს პრაქტიკა არსებობს, ასეთი მითითებები, განმარტებები ან რეზოლუციები არ უნდა იყოს სავალდებულო ქვემდგომი სასამართლოებისთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი წარმოადგენს მოსამართლეთა ინდივიდუალური დამოუკიდებლობის ხელყოფას. ამასთანავე, ზემდგომი სასამართლოების მიერ გამოტანილი სანიმუშო გადაწყვეტილებები და გადაწყვეტილებები, რომლებიც ამ სასამართლოებმა პრეცედენტად დაასახელეს, უნდა იყოს მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის და მათ არ უნდა ჰქონდეთ სავალდებულო ძალა ქვემდგომი სასამართლოებისთვის სხვა საქმეების განხილვისას. ისინი არ უნდა იქნას გამოყენებული ქვემდგომი სასამართლოების თავისუფლების შესაზღუდად მათ მიერ გადაწყვეტილებების გამოტანის და მათზე დაკისრებული პასუხისმგებლობის შესრულების პროცესში. კანონმდებლობის ერთგვაროვან განმარტებას ხელი უნდა შეეწყოს სასამართლო პრაქტიკის შესწავლით, რომელსაც ასევე არ უნდა ჰქონდეს სავალდებულო ძალა.